

თვის მიმოხილვა

იანვარი

საქართველოს ეროვნული ბანკი

2022



“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ყოველწიური პუბლიკაცია

ISSN 1512-1259

სარჩევი

1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება	4
2. მონეტარული აგრეგატების დინამიკა	8
3. საბანკო სექტორი	10
4. სავალუტო ბაზარი	15
5. ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი	19
6. საგარეო სექტორის მიმოხილვა	22

1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება

2022 წლის იანვარში წლიურმა ინფლაციამ 13.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო დეკემბერთან შედარებით ფასებმა 1.1 პროცენტით მოიმატა.

იანვარში, ინფლაციის ზრდაზე ყველაზე მეტად 2021 წლის იანვრიდან გამძირებული ელექტროენერგიის გადასახადის სუბსიდირების დასრულებამ იმოქმედა, რამაც თვიური ინფლაცია 0.2 პპ-ით გაზარდა. წინა თვესთან შედარებით, სეზონური ფაქტორების გამო ყველაზე, პომიდორსა და კიტრზე გაზრდილმა ფასებმა ინფლაცია ჯამში 0.4 პპ-ით გაზარდა. გაიზარდა ასევე იმპორტული წარმოების ფილტრიანი სიგარეტის, მინერალური წყლისა და გაზის საწვავის ფასებიც, რომელთა გავლენა ინფლაციაზე ჯამურად 0.2 პპ იყო.


ბოლო პერიოდში კომუნალური გადასახადების გავლენა ინფლაციაზე მნიშვნელოვანია. როგორც წინა ანგარიშებში აღვნიშნეთ, კომუნალურ გადასახადების გავლენა ინფლაციაზე მოიცავს როგორც გადასახადების გამძირებას, ასევე სუბსიდირების დასრულების ეფექტს¹. დეკემბრიდან ამ ფაქტორებს საბაზო ეფექტი დაემატა. კერძოდ, კომუნალური გადასახადების სუბსიდირების ეფექტი ინფლაციაზე 2020 დეკემბრიდან 2021 თებერვლის ჩათვლით აისახა, რის გამოც ინფლაციამ ამ პერიოდში იკლო. ერთი წლის შემდეგ, საბაზო ეფექტის გამო, კომუნალური გადასახადების გავლენამ წლიურ ინფლაციაზე ნოემბერთან შედარებით 2.0 პპ-ით, 3.6 პპ-მდე მოიმატა. იანვარში კომუნალური გადასახადების წვლილი 3.6 პპ-ს დონეზე შენარჩუნდა.

წლიურ კრილში, ინფლაციაზე მნიშვნელოვან გავლენას სურსათის ფასები ახდენს. სურსათის გამძირება გლობალური ტენდენციაა, რაც საქართველოზეც აისახება. იანვარში სურსათის წლიურმა ინფლაციამ 16.4 პროცენტი, ხოლო წვლილმა მთლიან ინფლაციაში 4.9 პპ შეადგინა. ოქტომბერში გამძირების შემდეგ, სურსათიდან ყველაზე გამოსარჩევი პური გახდა. სამომხმარებლო კალათაში პურს ყველაზე დიდი წონა (3.74%) აქვს. ამ პროდუქტის წლიური გამძირება იანვარში 22.3 პროცენტს გაუტოლდა, რის გამოც ინფლაციაზე მისმა გავლენამ 0.8 პპ შეადგინა. კვერცხის და კარტოფილის წვლილი ინფლაციაში თითოეულისთვის 0.3-0.3 პპ-ს შეადგენდა. შემცირდა, თუმცა კვლავ მაღალი, 0.3 პპ, რჩება მხესუმზირის ზეთის გავლენა ინფლაციაზე. ამდენივეა ყველის წვლილიც.

მსოფლიოში მობილობის აღდგენასთან ერთად გაიზარდა ნავთობზე მოთხოვნა და, შედეგად, ფასებიც, რამაც საწვავიც გაამძირა. 2021 წლის იანვართან შედარებით ბენზინი - 37.1, დიზელი 32.2, ხოლო გაზის საწვავი 20.1 პროცენტით არის გამძირებული, რითაც საწვავის წვლილი წლიურ ინფლაციაში 1.8 პპ-ს უტოლდება. ჯანმრთელობის დაცვა წლიურად 7.5 პროცენტით გამძირდა (0.7 პპ წვლილი ინფლაციაში).

საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლებისა და თამბაქოს ფასებს გამორიცხავს, 5.6 პროცენტამდე შემცირდა.


მთლიანი და საბაზო (სურსათისა და ენერგომატარებლების გარეშე) ინფლაცია



წყარო: საქსტატი.

¹ მთავრობის მიერ კომუნალური გადასახადების სუბსიდირების გამო 2020 წლის დეკემბერში კომუნალური გადასახადების ინდექსები ნოემბერთან შედარებით შემცირდა, ხოლო 2021 მარტში ეს ინდექსები ნოემბრის დონესთან შედარებით მცირედით გაიზარდა. თუმცა, პროცენტულად ზრდა გაცილებით მეტი გამოვიდა, ვიდრე შემცირება. კომუნალური გადასახადების უცვლელი წონის პირობებში, აღნიშნულმა სხვაობამ წლიური ინფლაციის დონე მომდევნო ერთი წლის მანძილზე დაახლოებით 1.2 პროცენტული პუნქტით გაზარდა.


წლიური ფასების ცვლილება სამომხმარებლო კალათის ჯგუფების მიხედვით



წყარო: საქსტატი.

იანვარში წლიურმა ინფლაციამ ადგილობრივი, ბამისად, 10.4, 14.6 და 20.8 პროცენტი შეადგინა. შერეულ და იმპორტირებულ საქონელზე, შესა-

იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია



წყარო: საქსტატი და საქართველოს ეროვნული ბანკი.


წინა თვესთან შედარებით, ხანმოკლე და ხანგრძლივი მოხმარების საქონელი, შესაბამისად, 2.0 და 0.8 პროცენტით გაძვირდა. მომსახურებაზე ფასები თითქმის არ შეცვლილა. ხოლო საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი 2.0 პროცენტით გაიყვანა.

წლიური მაჩვენებლების მიხედვით, ხანმოკლე,

ხანგრძლივი და საშუალო მოხმარების საქონელი, შესაბამისად, 20.3, 4.1 და 3.7 პროცენტით გაძვირდა. მომსახურებაზე ფასებმა 5.6 პროცენტით მოიმატა.

წლიური ინფლაციის მაჩვენებლები სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის.

წლიური ინფლაციის მაჩვენებლები სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის



წყარო: საქსტატი

ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და წვლილი სფი-ში (პროცენტული პუნქტი).

	2022 წლის წონები	იან22/დეკ21		იან22/იან21	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	1.1%	1.1%	13.9%	13.9%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.1%	2.5%	0.8%	16.2%	5.3%
სურსათი	30.2%	2.4%	0.7%	16.4%	4.9%
პური და პურპროდუქტები	6.1%	0.8%	0.0%	20.5%	1.2%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.7%	1.1%	0.1%	11.9%	0.8%
თევზი	0.5%	1.2%	0.0%	16.6%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.7%	3.2%	0.2%	14.4%	1.0%
ზეთი და ცხიმი	2.3%	0.1%	0.0%	19.6%	0.4%
ხილი, ყურძენი	1.6%	7.4%	0.1%	13.7%	0.2%
ბოსტნეული, ბაღჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.5%	8.4%	0.3%	23.3%	0.8%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.2%	-0.4%	0.0%	18.2%	0.4%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	0.4%	0.0%	4.3%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	3.3%	0.1%	15.1%	0.4%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.7%	1.2%	0.1%	6.2%	0.4%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	3.9%	-3.8%	-0.1%	-0.9%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	2.9%	0.3%	44.8%	3.2%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.2%	1.2%	0.1%	11.4%	0.6%
ჯანმრთელობის დაცვა	9.5%	0.2%	0.0%	7.5%	0.7%
ტრანსპორტი	11.8%	0.4%	0.0%	16.2%	1.9%
კავშირგაბმულობა	3.8%	0.2%	0.0%	-0.4%	0.0%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.0%	-2.6%	-0.1%	0.2%	0.0%
განათლება	4.9%	-0.2%	0.0%	4.3%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.9%	1.1%	0.0%	16.0%	0.6%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	0.7%	0.0%	5.7%	0.3%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	61.5%	2.0%	1.2%	20.3%	11.9%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.2%	-2.0%	-0.1%	3.7%	0.3%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.7%	0.8%	0.0%	4.1%	0.2%
მომსახურება	26.6%	0.0%	0.0%	5.6%	1.6%

წყარო: საქსტატი.


2. მონეტარული აგრეგატების დინამიკა

მონეტარული აგრეგატები

2022 წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 183 მლნ ლარით (3.6 პროცენტით) შემცირდა და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის 5.00 მლრდ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, წინა თვესთან შედარებით,

მონეტარული ბაზა 98.7 მლნ ლარით (1.9 პროცენტით) შემცირდა. პერიოდის ბოლოსათვის, სარეზერვო ფულის წლიური ზრდის ტემპი -0.8 პროცენტს გაუტოლდა.

სარეზერვო ფულის ცვლილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში შიდასამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 47.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციებში ეროვნულ ბანკს მონაწილეობა არ მიუღია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა, თვის განმავლობაში 1.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 46.5 მლნ აშშ დოლარით შემცირდა.

იანვარში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 658.5 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 1,024.5 მლნ ლარს გაუტოლდა.

საანგარიშო პერიოდში, განთავსდა 20.0 მლნ ლარის მოცულობის და დაიფარა 20.0 მლნ ლარის ოდენობის სადეპოზიტო სერთიფიკატები.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, რეფინანსირების სესხების მოცულობა წინა თვესთან შედარებით 420.0 მლნ ლარით შემცირდა და 1,650.0 მლნ ლარი შეადგინა. ერთთვიანი სესხის მოცულობა უცვლელია და 400 მლნ ლარს უტოლდება, ხოლო ერთდღიანი სესხი 6.8 მლნ ლარით გაიზარდა.

ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდამჭერი სესხის ნაშთის ოდენობა 42.2 მლნ ლარით შემცირდა და 589.7 მლნ ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში, ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 453.4 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 2,693.6 მლნ ლარს გაუტოლდა. გარდა ამისა, თვის განმავლობაში 207.0 მლნ ლარით შემცირდა სავალუტო სვოპის მოცულობა. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების წმინდა შესყიდვამ 100.0 მლნ ლარი შეადგინა და პორტფელის მოცულობა 100.0 მლნ ლარით გაიზარდა.

ზემოაღნიშნული ფულადი ნაკადების მოძრაობის ზეგავლენით, თვის განმავლობაში, სარეზერვო ფულის მოცულობა 182.9 მლნ ლარით შემცირდა. მათ შორის, ნაღდი ფული მიმოქცევაში - 385.8 მლნ ლარით შემცირდა, ხოლო საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების ეროვნული ვალუტით განთავსებულ საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები - 207.4 მლნ ლარით გაიზარდა. ამასთან, კომერციული ბანკების ერთდღიან დეპოზიტებზე არსებული ნაშთების ოდენობა 4.5 მლნ ლარით შემცირდა.

სარეზერვო ფულის დინამიკა

ათასი ლარი

	იან-22
სარეზერვო ფული	4,848,754
ფული მიმოქცევაში	4,203,239
ბანკების დეპოზიტები	645,515
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	568,824
ერთდღიანი დეპოზიტები	76,690

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საშუალო სარეზერვო ფულის დინამიკა

ათასი ლარი

	იან-22
სარეზერვო ფული	5,008,242
ფული მიმოქცევაში	4,354,002
ბანკების დეპოზიტები	654,239
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	593,909
ერთდღიანი დეპოზიტები	60,330

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფართო ფული

2022 წლის იანვარში, ფართო ფულის, M3-ის აგრეგატი 1,202.0 მლნ ლარით შემცირდა და თვის ბოლოსათვის 32.8 მლრდ ლარი შეადგინა. წლიური ზრდის ტემპი 9.0 პროცენტი იყო. საანგარიშო პერიოდში, უცხოური ვალუტით დეპოზიტებზე 588.9 მლნ ლარით კლება დაფიქსირდა და იანვრის ბოლოსთვის 17.23 მლრდ ლარს გაუტოლდა. ამავე

პერიოდში, 362.9 მლნ ლარით შემცირდა ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების ოდენობა და მისმა მოცულობამ - 12.26 მლრდ ლარი შეადგინა. ფართო ფული M2-ის მაჩვენებელი, საანგარიშო პერიოდში, წინა თვესთან შედარებით 613.1 მლნ ლარით 15.56 მლრდ ლარამდე შემცირდა.

ფულადი აგრეგატების დინამიკა

ათასი ლარი

	იან-22
ფართო ფული /M3/	32,790,664
ფულადი მასა /M2/	15,558,051
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული	3,302,076
ლარები მიმოქცევაში	4,203,239
დეპოზიტები ეროვნული ვალუტით	12,255,975
დეპოზიტები უცხოური ვალუტით	17,232,613

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


3. საბანკო სექტორი

2022 წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით, საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები 478.2 მლნ ლარით (1.3 პროცენტით) შემცირდა და 36.8 მლრდ ლარს გაუტოლდა. აღნიშნული ცვლილება

ძირითადად უცხოური ვალუტის დეპოზიტების კლებითაა განპირობებული. 2021 წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებაში, მთლიანი დეპოზიტების მოცულობა 5.4 პროცენტით არის გაზრდილი.

სადეპოზიტო ვალდებულებები

მილიარდი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში, წინა თვესთან შედარებით, ლარით დენომინირებული დეპოზიტების მოცულობა 283.8 მლნ ლარით (1.9 პროცენტით) გაიზარდა და 15.1 მლრდ ლარი შეადგინა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები ზრდის მიმართულებით მოქმედებდა (გაიზარდა 627.7 მლნ ლარით). იურიდიული პირების დეპოზიტები 171.4 მლნ ლარით, ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტები კი 172.5 მლნ ლარით შემცირდა.


კომერციულ ბანკებში, უცხოური ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე 2.0 პროცენტთან (141.9 მლნ აშშ დოლარი) კლება დაფიქსირდა და პერიოდის ბოლოს, 7.09 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული კლება, როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირების დეპოზიტების კლებით არის განპირობებული.

სავალუტო და სალარე დეპოზიტების ზრდის ტემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 2022 წლის იანვარში წინა თვესთან შედარებით 1.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 58.9 პროცენტს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის ბოლოს, იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, შესაბამისად, 47.0 და 73.3 პროცენტს შეადგენდა.


მიმდინარე წლის იანვარში წინა თვესთან შედარებით, საშუალო საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა

და 6.9 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნული ვალუტით მოზიდულ დეპოზიტებზე, ბანკების მიერ გადახდილი სარგებლის წლიური საშუალო შეწონილი განაკვეთი წინა პერიოდთან შედარებით 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 10.8 პროცენტს გაუტოლდა. იურიდიული პირების ეროვნული ვალუტით დეპოზიტებზე, წინა თვესთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტიანი კლება დაფიქსირდა და 10.6 პროცენტი შეადგინა. ფიზიკური პირების დეპოზიტებზე წლიური განაკვეთები წინა თვესთან შედარებით 0.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 11.4 პროცენტს გაუტოლდა. უცხოური ვალუტით მოზიდული დეპოზიტების წლიური განაკვეთი 0.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 0.9 პროცენტს შეადგენს. მათ შორის, უცხოური ვალუტით იურიდიული პირების დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები 1.2 პროცენტული პუნქტით 2.6 პროცენტამდე გაიზარდა. უცხოური ვალუტით ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 0.7 პროცენტის ნიშნულზეა. 2021 წლის იანვარში არსებულ განაკვეთებთან შედარებით, ეროვნული ვალუტით დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები 2.6 პროცენტული პუნქტით 10.8 პროცენტამდე გაიზარდა. უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების განაკვეთებზე 1.0 პროცენტული პუნქტით კლება დაფიქსირდა წინა წლის დეკემბერთან შედარებით და 0.9 პროცენტს გაუტოლდა.

დეპოზიტები ეროვნული ვალუტით




დეპოზიტები უცხოური ვალუტით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეპოზიტების ზრდის ტემპი წინა თვესთან




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით, კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება 933.7 მლნ ლარით შემცირდა და მთლიანი მოცულობა 42.8 მლრდ ლარს გაუტოლდა. საკრედიტო პორტფელის შემცირება როგორც ეროვნული ვალუტით, ასევე უცხოური ვალუტით დაკრედიტების კლებამ განაპირობა. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების პორტფელის

წლიურმა ზრდის ტემპმა კი 10.5 პროცენტი შეადგინა. გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე კი, სესხების წლიური ზრდა 17.2 პროცენტი იყო. საკრედიტო პორტფელის 88.8 პროცენტი გრძელვადიან სესხებზე მოდიოდა, რომლის 51.4 პროცენტი უცხოური ვალუტით იყო გაცემული. მოკლევადიან სესხებში კი უცხოური ვალუტით სესხების წილი 40.3 პროცენტს შეადგენდა.

სესხების ზრდის ტემპი წინა თვესთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები 192.7 მლნ ლარით (0.9 პროცენტით) გაიზარდა და 21.4 მლრდ ლარს გაუტოლდა. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად გამოწვეული იყო იურიდიული პირების ანგარიშების დაკრედიტების კლებით იყო განპირობებული.


უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა იანვარში 136.3 მლნ აშშ დოლარით (1.9 პროცენტით) შემცირდა, წინა თვესთან შედარებით,

და პერიოდის ბოლოს 7.00 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამ კატეგორიის კრედიტების 62.1 პროცენტს იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები შეადგენს, ხოლო 89.0 პროცენტი გრძელვადიან დაკრედიტებას უჭირავს.

საანგარიშო პერიოდში, მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 50.0 პროცენტს გაუტოლდა.

მოკლევადიანი სესხები ეროვნული ვალუტით


მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მოკლევადიანი სესხები უცხოური ვალუტით


მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრძელვადიანი სესხები ეროვნული ვალუტით


მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრძელვადიანი სესხები უცხოური ვალუტით

მილიონი ლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში, ვადაგადაცილებული სესხები 32.3 მლნ ლარით გაიზარდა და 511.3 მლნ ლარს გაუტოლდა. მათი წილი კომერციული ბანკების

საკრედიტო პორტფელში 1.2 პროცენტი იყო. ვადაგადაცილებული სესხების 44.0 პროცენტი ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

ვადაგადაცილებული დავალიანება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბანკო სისტემაში საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე მიმდინარე წლის იანვარში 1.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 12.9 პროცენტი შეადგინა. უცხოური ვალუტით დენომინირებულ სესხებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი არ შეცვლილა და 6.3 პროცენტი. ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 1.1 პროცენტული პუნქტით, 16.8 პროცენტამდე გაიზარდა. ეროვნული ვალუტით სესხების შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთები ფიზიკური პირებისთვის 1.2 პროცენტული პუნქტით 19.0 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო იურიდიული პირების სესხებზე 0.1 პროცენტული პუნქტით, წლიურ 13.2 პროცენტამდე შემცირდა.

უცხოური ვალუტის შემთხვევაში, იურიდიული პირების სესხებზე საპროცენტო განაკვეთები 0.1 პროცენტული პუნქტით 6.6 პროცენტამდე, ხოლო ფიზიკური პირების მიერ უცხოური ვალუტით აღებული სასესხო განაკვეთები კი 0.2 პროცენტული პუნქტით 5.2 პროცენტამდე შემცირდა. წინა წლის იანვართან შედარებით, საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტის სესხებზე 0.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო ეროვნული ვალუტის სესხებზე 1.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. საანგარიშო პერიოდში, საბანკო სისტემის უკუგება აქტივებზე (ROA) გაიზარდა 0.5 პროცენტული პუნქტით და 2.9 პროცენტს შეადგინა. 3.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა უკუგება კაპიტალზე (ROE) და 21.0 პროცენტი შეადგინა.

სესხების და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


4. სავალუტო ბაზარი

1 გაცვლითი კურსი

იანვარში ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 3.0987-დან 3.0803-მდე (0.6 პროცენტით), ხოლო ევროს მიმართ საშუალოდ 3.5035-დან 3.4889-მდე (0.4 პროცენტით) გამყარდა.

თვის ბოლოს კი ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 3.0521 და 3.3994 შეადგინა, შესაბამისად.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2018-2022 წლებში, თვის საშუალო




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ - 3.0964, ხოლო მინიმალურმა 3.0521 შეადგინა. შესაბამისად, თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან მაქსიმალური გადახრა - 0.5 პროცენტი, ხოლო მინიმალური -0.9 პროცენტი დაფიქსირდა.

სომხური დრამის მიმართ საშუალოდ - 0.8 პროცენტით და ევროს მიმართ საშუალოდ 0.2 პროცენტით გამყარდა, ხოლო რუსული რუბლის მიმართ საშუალოდ - 3.3 პროცენტით და თურქული ლირის მიმართ საშუალოდ - 0.4 პროცენტით გაუფასურდა, აზერბაიჯანული მანათის მიმართ კი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა¹.

საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე დოლარი


ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველდღიური მერყეობის დიაპაზონი 2018 -2022 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

¹ წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ 2012=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2 სავალუტო ბაზრის ტენდენციები


ბანკთაშორის სავალუტო ბაზარი

2021 წლის იანვარში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა შემცირდა. აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 55.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე - 43.5 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის იანვრის მონაცემზე კი 83.1 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. იმავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით - 43.3 პროცენტით, წლიურად კი 4.1 პროცენტით შემცირდა.

საანგარიშო პერიოდში სავალუტო ბაზრის კონ-

ცენტრაცია შემცირდა: ბანკთაშორის სავალუტო გარიგებების მთლიანი თანხის 62 პროცენტი (დეკემბერი - 68 პროცენტი) ქვეყანაში მოქმედი 14 ბანკიდან და 5² არასაბანკო ორგანიზაციიდან 5 ყველაზე აქტიურ ორგანიზაციაზე მოდის. დადებული გარიგებების რაოდენობის მიხედვით, 5 ყველაზე აქტიურ ორგანიზაციას ბაზრის 58 პროცენტი უჭირავს. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი შემცირდა და 10 პროცენტია (დეკემბერი - 11 პროცენტი), რაც დაბალი მაჩვენებელია და სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.

ბანკთაშორის სავალუტო ბაზარი და ეროვნული ბანკის წვლილი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.


სავალუტო ვაჭრობა ბანკებსა და დანარჩენ ეკონომიკურ აგენტებს შორის

იანვარში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თვითურად შემცირდა, ხოლო წლიურად გაიზარდა. უცხოური ვალუტით ლარის ვაჭრობა თითქმის მთლიანად სპოტ³ გარიგებებით ხდებოდა (99.0 პროცენტი) და 1,593.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც დეკემბრის მონაცემთან შედარებით - 735.7 მლნ აშშ დოლარით ნაკლები, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 461.8 მლნ აშშ დოლარით მეტია. სპოტ გარიგებების ძირითადი

ნაწილი იურიდიულ პირებზე (68.5 პროცენტი) მოდიოდა, დანარჩენი კი შინამეურნეოებზე (30.8 პროცენტი) და არარეზიდენტ ბანკებზე (0.7 პროცენტი). საქართველოს ეროვნული ბანკის წილი 0.04 პროცენტი იყო. წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა გაყიდვებმა თვის განმავლობაში -0.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე

მილიონი აშშ დოლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საერთო ჯამში, სპოტ გარიგებებით ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოური ვალუტაზე მოთხოვნამ 827.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც დეკემბრის მაჩვენებელთან შედარებით - 360.3 მლნ აშშ დოლარით ნაკლები, ხოლო წლიურად 252.9 მლნ აშშ დოლარით მეტია. სეგმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ სპოტ გარიგებებით იურიდიული პირების მიერ უცხოური ვალუტის ყიდვებმა 679.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, შინამეურნეოებების შესყიდვები 146.7 მლნ აშშ დოლარი იყო, ხოლო არარეზიდენტი ბანკების - 0.6 მლნ აშშ დოლარი.


რაც შეეხება ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოური ვალუტის სპოტ გარიგებებით მიწოდებას, იანვარში 766.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც დეკემბრის მაჩვენებელთან შედარებით 375.4 მლნ აშშ დოლარით ნაკლები, ხოლო წლიურად 208.8 მლნ აშშ დოლარით მეტია. იურიდიულმა პირებმა 411.8 მლნ აშშ დოლარი გაყიდეს, შინამეურნეოებმა - 344.2 მლნ აშშ დოლარი, არარეზიდენტმა ბანკებმა კი - 10.0 მლნ აშშ დოლარი.

3 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

სპოტ გარიგებით შეძენილი უცხოური ვალუტა



სპოტ გარიგებით გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში სავალუტო ფორვარდ⁴ გარიგებებით ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობამ 10.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც დეკემბრის მონაცემთან შედარებით - 8.8 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.0 მლნ აშშ

დოლარით ნაკლებია. მიმდინარე თვეში ფორვარდ გარიგებების 73.6 პროცენტი იურიდიულ პირებზე, ხოლო 26.2 პროცენტი შინამეურნეობებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა 5.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

⁴ სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.


5. ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი

სადეპოზიტო სერტიფიკატები. 2022 წლის იანვარში სადეპოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი გაიმართა, რომელზეც ბანკების მხრიდან მოთხოვნის მოცულობამ 50.0 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნულ აუქციონზე, ემიტირებული 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები სრულად განთავსდა,

საანგარიშსწორებო ფასით - 19.5 მლნ ლარი. საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.41 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 10.45 პროცენტია. იანვარში არსებული დაფარვების გათვალისწინებით, ბაზარზე არსებული სადეპოზიტო სერტიფიკატების ნომინალური მოცულობა 20 მლნ ლარით შემცირდა და 60 მლნ ლარს შეადგენს.

3-თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონის საპროცენტო განაკვეთები

მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონები. იანვარში ჩატარდა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ხუთი აუქციონი, რომელზეც ჯამში 215.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. საანგარიშსწორებო ფასმა 213.2 მლნ ლარი შეადგინა. ბანკების მხრიდან მოთხოვნამ ფასიან ქაღალდებზე ემისიას 1.8-ჯერ გადააჭარბა.


იანვარში გამართულ აუქციონებზე გაიყიდა 6 თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 70, 25 და 80 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი 5,177 მლნ ლარია.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებების საშუალო შეწონილი განაკვეთი 0.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 10.19 პროცენტს შეადგენს. ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საშუალო შეწონილი განაკვეთი 0.04 პროცენტული პუნქტით გაიზარდა

და 10.01 პროცენტია. ორწლიანი სახაზინო ვალდებულებების საშუალო შეწონილი განაკვეთი 1.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 9.93 პროცენტია. ხუთწლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაკვეთი კი 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 9.80 პროცენტია. ათწლიანი სახაზინო ვალდებულებების საშუალო შეწონილი განაკვეთი 0.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 9.83 პროცენტია.

ბოლო პერიოდის განმავლობაში არარეზიდენტებმა აქტიურად დაიწყეს სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა, განსაკუთრებით კი მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების პარალელურად. მათი წვლილი, სახაზინო ფასიანი ქაღალდების მთლიან პორტფელში 9.2 პროცენტია. 2022 წლის იანვარში, არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელის მოცულობამ 525.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით უცვლელია, ხოლო წინა წლის იანვართან მიმართებაში - 145.0 მლნ ლარით ნაკლებია.

შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი. იანვარში, ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის კლება შეინიშნებოდა, რაც ძირითადად, ეროვნული ვალუტის რესურსის ბრუნვის შემცირებით იყო განპირობებული. ბაზრის მთლიანმა ბრუნვამ 3,412.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც დეკემბრის მაჩვენებელზე 707.5 მლნ ლარით ნაკლებია, ხოლო წინა წლის იანვართან შედარებით 1,275.4 მლნ ლარით მეტია.

წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის რესურსის ბრუნვა 654.3 მლნ ლარით (37.1 პროცენტით) შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტის რესურსის ბრუნვის მოცულობა 53.3 მლნ ლარით (2.3 პროცენტით) შემცირდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2022 წლის იანვარში ლარის რესურსის ბრუნვა 668.6 მლნ ლარით გაიზარდა (151.6 პროცენტით), ხოლო უცხოური ვალუტის ბრუნვა 606.8 მლნ ლარით (35.8 პროცენტით) გაიზარდა.


იანვარში, ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის

მთლიან ბრუნვაში, ლარის რესურსის ხვედრითმა წილმა 32.5 პროცენტი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 10.3 პროცენტული პუნქტით ნაკლები, ხოლო წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 11.9 პროცენტული პუნქტით მეტია. რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ლარის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.28 პროცენტული პუნქტით, ხოლო წლიურად 2.83 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 10.35 პროცენტი შეადგინა. უცხოური ვალუტის შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთი თვის განმავლობაში 0.18 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო წლიურად 0.38 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 1.85 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ფულადი ბაზრის რესურსის 31.1 პროცენტი ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 65.0 პროცენტი კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი

მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


6. საგარეო სექტორის მიმოხილვა

2022 წლის იანვარში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 32.8 პროცენტით გაიზარდა და 447.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საანგარიშო თვეში საქონლის რეგისტ-

რირებულმა ექსპორტმა წლიურად 47.6 პროცენტით მოიმატა და 331.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 38.7 პროცენტით 779.1 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

საქონლით ექსპორტ-იმპორტის დინამიკა

მილიონი აშშ დოლარი




წყარო: საქსტატი


იმპორტი – 2022 წლის იანვარში საქონლის იმპორტი წლიურად 38.7 პროცენტით გაიზარდა. რეგიონის ქვეყნებიდან იმპორტის ზრდაში მაღალი წვლილით გამოირჩეოდა თურქეთი, რაც, მსუბუქი ავტომობილების, ასევე ნახშირბადიანი ფოლადის წნელების და შავი ლითონის მეტალოკონსტრუქციების შემოტანას უკავშირდება. ხოლო იმპორტის ზრდა რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან - ნავთობაირების, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ჩინეთიდან - საბურავების, ნახშირბადიანი ფოლადის ბრტყელი ნაგლისის, აშშ-დან - მსუბუქი ავტომობილების, ბინოკლებისა და სხვა ოპტიკური მილების, იაპონიიდან - მსუ-

ბუქი ავტომობილების, უკრაინიდან - ფეროშენადნობების და ნახშირბადიანი ფოლადის ბრტყელი ნაგლისის, გერმანიიდან კი მსუბუქი ავტომობილების და სამკურნალო საშუალებების გაზრდილმა შესყიდვებმა გამოიწვია. დანარჩენი ქვეყნებიდან, კერძოდ, ბულგარეთიდან - ნავთობისა და ნავთობპროდუქტების და სამკურნალო საშუალებების, სომხეთიდან - ელექტროენერგიისა და სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, რუმინეთიდან - ნავთობაირების და აირისებრი ნახშირწყალბადების, ჩილედან სპილენძის მადნების და კონცენტრატების იმპორტი გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, იმპორტის შემცირება იაპონიიდან

საქონლის იმპორტის წლიური ცვლილება



იმპორტი ქვეყნების მიხედვით (იანვარი, 2022)



წყარო: საქსტატი

საბურავების და სატვირთო ავტომობილების, აზერბაიჯანიდან - ელექტროენერგიის, ხოლო უკრაინიდან ნახშირბადიანი ფოლადის წნელების და თამბაქოს შემოტანის კლებით არის გამოწვეული.

2022 წლის იანვარში ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები იყო: თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, ჩინეთი, აშშ, იაპონია, უკრაინა და გერმანია. ჯამურად, 8 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 64 პროცენტი მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

2022 წლის იანვარში, იმპორტირებული საქონლის მნიშვნელოვან ნაწილს, 10.3 პროცენტს, მსუბუქი ავტომობილები წარმოადგენდა, რომელთა ჯგუფმა იმპორტის ზრდაში 4.6 პპ წვლილი შეიტანა. საანგარიშო პერიოდში, იმპორტირებულ

საქონელში, ასევე მნიშვნელოვანი წილით (9.3 პპ) იყო წარმოდგენილი ნავთობი და ნავთობპროდუქტები, რომელთა ჯგუფმა იმპორტის ზრდაში ყველაზე დიდი 6.4 პპ წვლილი შეიტანა. იმპორტზე ზრდის მიმართულებით, აგრეთვე, ნავთობპროდუქტების და აირისებრი ნახშირწყალბადების, გამომთვლელი მანქანების, სატელეფონო აპარატების, სამკურნალო საშუალებების, შავი ლითონის მეტალოკონსტრუქციების, ნახშირბადიანი ფოლადის ბრტყელი ნაგლისისა და წნელების ჯგუფების იმპორტმა (ჯამურად 11.2 პპ) მნიშვნელოვნად იმოქმედა. გარდა ამისა, იანვარში გაიზარდა ელექტროენერგიის იმპორტი, რომელმაც მთლიან ზრდაში 0.2 პპ წვლილი შეიტანა. აღსანიშნავია, რომ იანვარში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (იანვარი, 2022)

	2022 იანვარი		2021 დეკემბერი		2021 იანვარი	
	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში
მსუბუქი ავტომობილები	80,236.6	10.3%	78,448.8	7.6%	54,672.9	9.7%
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	72,715.5	9.3%	84,674.5	8.2%	36,777.8	6.5%
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა	63,993.3	8.2%	56,644.3	5.5%	46,445.1	8.3%
სამკურნალო საშუალებები დაფასოებული	24,253.7	3.1%	47,716.7	4.6%	17,647.9	3.1%
სატელეფონო აპარატები, ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა უსადენო ქსელებისთვის განკუთვნილი ტელეფონების ჩათვლით	23,475.2	3.0%	27,837.9	2.7%	11,995.0	2.1%
გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები	18,759.5	2.4%	10,861.6	1.1%	3,782.1	0.7%
ელექტროენერგია	11,282.2	1.4%	6,441.9	0.6%	10,384.9	1.8%
წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან, შემდგომი დამუშავების გარეშე	8,895.8	1.1%	8,252.7	0.8%	4,855.2	0.9%
ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან სიგანით 600 მმ ან მეტი	6,733.7	0.9%	5,816.4	0.6%	2,811.5	0.5%
მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისაგან და მათი ნაწილები	6,653.6	0.9%	6,762.6	0.7%	2,253.3	0.4%
სხვა	462,143.7	59.3%	699,373.5	67.7%	370,102.6	65.9%
სულ	779,142.8		1,032,830.8		561,728.3	

წყარო: საქსტატი


ექსპორტი – 2022 წლის იანვარში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 47.6 პროცენტით გაიზარდა. ზრდაში ყველაზე მაღალი 15.0 პპ-იანი წვლილი ბულგარეთმა შეიტანა, რაც ძირითადად სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებზე მოთხოვნის ზრდას უკავშირდება. რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აზერბაიჯანში ექსპორტის მატებამ, რაც მსუბუქი ავტომობილებისა და თამბაქოს გაყიდვებს უკავშირდება. რეგიონის სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია რუსეთში - ფეროშენადნობებისა და ყურძნის ნატურალური ღვინოების, თურქეთში

- ტანსაცმლის, ფეროშენადნობებისა და შავი ლითონის ჯართის, სომხეთში - კოპტონის, მინერალური და ქიმიური სასუქების, უკრაინაში - აზოტოვანი მინერალური და ქიმიური სასუქების, ყირგიზეთში - მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის ზრდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია აშშ-ში ყურძნის ნატურალური ღვინოების, ესპანეთში - კაკლისა და მანგანუმის ოქსიდების, ჩინეთში - სპილენძისა და ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების, იტალიაში - ფეროშენადნობებისა და კაკლის, რუმინეთში - მინერალური და ქიმიური აზოტოვანი სასუქების, შვეიცარიაში კი ოქროს ექსპორტის მაღალი მაჩვენებლები. ამის სა-


პირისპიროდ, ყირგიზეთში სამკურნალო საშუალებების, ხოლო აშშ-ში ფეროშენადნობების ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა. 2022 წლის იანვარში ძირითადი საექსპორტო ქვეყნები იყო: ბულგარეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა,

ჩინეთი, თურქეთი, სომხეთი და აშშ. ჯამურად, 8 ძირითადი სავაჭრო პარტნიორის წილმა მთლიანი ექსპორტის 76 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტის წლიური ცვლილება



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით (იანვარი, 2022)



წყარო: საქსტატი

2022 წლის იანვარში ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების 47.6 პროცენტთან მატებაში ყველაზე დიდი წვლილი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (7.4 კპ) ექსპორტმა შეიტანა, რომლის წლიურმა ზრდამაც 33.5 პროცენტი შეადგინა. ექსპორტის მოცულობაზე დადებითაც აისახა სამკურნალო საშუალებებზე მსუბუქ ავტომობილებზე, ფეროშენადნობებზე, მინერალურ და

ქიმიურ სასუქებსა და ყურძნის ნატურალურ ღვინოებზე საგარეო მოთხოვნის მატება (ჯამურად 16.8 პროცენტული პუნქტი წვლილი მთლიანი ექსპორტში). ამის საპირისპიროდ, ციტრუსების ექსპორტი შემცირდა. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (იანვარი, 2022)

	2022 იანვარი		2021 დეკემბერი		2021 იანვარი	
	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში
მადნები და კონცენტრატები სპილენძის	66,336.3	20.0%	65,314.3	15.6%	49,708.3	22.1%
მსუბუქი ავტომობილები	36,386.1	11.0%	38,934.4	9.3%	24,888.3	11.1%
ფეროშენადნობები	31,403.7	9.5%	62,667.5	14.9%	23,283.2	10.4%
სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი	17,613.9	5.3%	21,829.1	5.2%	5,971.3	2.7%
ყურძნის ნატურალური ღვინოები	14,682.8	4.4%	22,825.4	5.4%	8,696.1	3.9%
მინერალური და მტკნარი წყლები	11,340.9	3.4%	10,877.6	2.6%	8,802.9	3.9%
სამკურნალო საშუალებები დაფასოებული	11,071.5	3.3%	11,439.5	2.7%	2,953.8	1.3%
ეთილისსპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები	8,851.9	2.7%	14,842.5	3.5%	6,958.1	3.1%
თხილი და სხვა კაკალი	7,650.0	2.3%	11,904.3	2.8%	7,246.4	3.2%
ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადდაუმუშავებული, ან ფხვნილის სახით	6,673.5	2.0%	6,040.6	1.4%	2,637.2	1.2%
სხვა	119,335.5	36.0%	152,780.3	36.4%	83,346.4	37.1%
სულ	331,346.1		419,455.5		224,491.9	


წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - 2022 წლის იანვარში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წელთან შედარებით 12.7 პროცენტით მოიმატა და 168.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადმორიცხული თანხების მოცულობა 35.3 პროცენტით 23.3 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

საანგარიშო თვეში რეგიონის ქვეყნებიდან ზრდის მაღალი ტემპით ყირგიზეთიდან (310.0 პროცენტი) და ყაზახეთიდან (200.6 პროცენტი) გადმორიცხული ფულადი სახსრები გამოირჩეოდა, რომელთა წვლილები მთლიანი გზავნილების ცვლილებაში, შესაბამისად, 1.4 და 2.9 პროცენტული პუნქტებით აისახა. ფულადი გადმორიცხვები სომხეთიდან გაიზარდა, ხოლო აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან, თურქეთიდან და რუსეთიდან შემცირდა. საანგარიშო პერიოდში წლიურ დონეზე ევროკავშირის ქვეყნებიდან გადმორიცხული თანხები 15.5 პროცენტით გაიზარდა (3.5 პპწვლილი), რაც ძირითადად გერმანიიდან (45.5 პროცენტით), პოლონეთიდან (29.3 პროცენტით) და იტალიიდან (22.0 პროცენტით) გაზრდილმა გზავნილებმა განაპირობა. საბერძნეთიდან გზავნილების მოცულობა ზომიერად (9.3 პროცენტით) შემცირდა. დანარჩენი ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების ზრდაზე დადებითი ზეგავლენა მოახდინა ისრაელიდან (13.3 პროცენტით) და აშშ-დან (12.3


პროცენტით) მიღებულმა თანხებმა. რაც შეეხება ქვეყნების მიხედვით განაწილებას, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (45.5 პროცენტი), რუსეთი (13.3 პროცენტი) და აშშ (12.0 პროცენტი) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია გერმანიის, პოლონეთისა და იტალიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

სწრაფი ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით (იანვარი, 2022)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ქვეყნების წვლილი სწრაფი ფულადი გზავნილების ზრდაში (იანვარი, 2022)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ტურიზმი - 2022 წლის იანვარში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 424.4 პროცენტით გაიზარდა. ტურისტების რაოდენობამ მთლიანი ვიზიტორების 92.4 პროცენტი

შეადგინა და წლიურად 455.7 პროცენტით მოიმატა. საანგარიშო თვეში ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა.

საერთაშორისო ვიზიტორები ტიპების მიხედვით (იანვარი, 2021-2022)



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია


2021 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოში პანდემიის შემავსებელი ზომების შერბილებამ და საზღვრების გახსნამ ტურიზმის დარგის გამოცოცხლებას ხელი შეუწყო და უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის ზრდა გაგრძელდა. 2022 წლის იანვარში ვიზიტორების წლიურმა ზრდამ 424.4 პროცენტი შეადგინა, თუმცა ეს საბაზო ეფექტს უკავშირდება, ვინაიდან 2021 წელს ანალოგიურ პერიოდში ტურიზმი პრაქტიკულად გაჩერებული იყო. 2020 წლის იანვართან შედარებით კი 66.2 პროცენტით ნაკლები ვიზიტორი შემოვიდა. რეგიონის ქვეყნებიდან ყველაზე დიდი წვლილები ვიზიტორების ზრდაში რუსეთიდან (78.4 კპ), თურქეთიდან (51.2 კპ) და სომხეთიდან (46.6 კპ) შემოსულმა ვიზიტორებმა შეიტანეს. ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტორთა რაოდენობა დაახლოებით 11-ჯერ გაიზარდა, რამაც მთლიან ზრდაში 29.9 კპ წვლილი შეადგინა. განსაკუთრებით, პოლონეთიდან (5.4 კპ), გერმანიიდან (4.7 კპ), გაერთიანებული

სამეფოდან (2.6 კპ) და ლიეტუვადან (2.5 კპ) შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ მოიმატა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია საუდის არაბეთიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა, როგორც ზრდის ტემპით (2220-ჯერ მეტი ვიზიტორი), ასევე მთლიან ზრდაში წვლილით (13.1 კპ). წინა თვის მსგავსად, საანგარიშო პერიოდშიც, კვლავ მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ისრაელიდან შემოსული ვიზიტორთა რაოდენობა (82-ჯერ მეტი ვიზიტორი) და მთლიან ზრდაში წვლილი (24.1 კპ).

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები – 2022 წლის იანვარში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 194.4 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. საერთაშორისო რეზერვებზე კლების მიმართულებით, ძირითადად, მთავრობის სავალუტო ხარჯებმა, მათ შორის, საგარეო ვალის მომსახურებამ და სვოპ ოპერაციებმა იმოქმედა.

ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები

მილიარდი აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, სანაპიროს ქ. N2
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ-ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

